**ამონაწერი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2015 წლის 8 ივლისის სხდომის N7 ოქმიდან**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2015 წლის 8 ივლისს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა რამაზ ბოჭორიშვილმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 39 წევრი, სხდომას ესწრებოდა 24. კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

<u>**დღის წესრიგი:**</u>

1. ცვლილებები დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებში
2. ცვლილებები სადისერტაციო საბჭოს და დოქტორანტურის დებულებაში
3. მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარი
4. მაგისტრატურის მისაღები კონტიგენტის შესახებ
5. სტიპენდიების შესახებ
6. მივლინების და მოწვევის შესახებ
7. დამატებითი სემესტრის დოქტორანტების დასაქმების შესახებ
8. სადისერტაციო ნაშრომის სახელწოდების და ხელმძღვანელის დამტკიცება
9. ემერიტუსის წოდების მინიჭებისა და ანაზღაურების მიცემის წესში ცვლილებების შესახებ
10. სტუდენტური კონფერენციის შესახებ
11. ვორკშოფი სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან
12. ვორკშოფი პეკინის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან.

**7. მოისმინეს:** დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი – დამატებითი სემესტრის დოქტორანტების დასაქმების შესახებ. პროფესორმა რამაზ ბოჭორიშვილმა აღნიშნა, რომ მიიღეს გადაწყვეტილება დამატებითი სემესტრის დოქტორანტების დასაქმების შესახებ, რაც მიღებული პრაქტიკაა საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში. შექმნილია განაცხადის ფორმაც (იხ. დანართი 4). მან საბჭოს წევრებს მიმართა, რომ დღესვე შეიქმნას კომისია, რომელიც ამ განაცხადებს განიხილავს.

**აზრი გამოთქვეს:** პროფესორმა ნ.შათაშვილმა იკითხა, თუ ვის სახელზე უნდა დაიწეროს განცხადება, რაზეც პროფესორმა რ.ბოჭორიშვილმა უპასუხა, რომ განხადება უნდა დაიწეროს კომისიის სახელზე. შემდეგ იმსჯელეს, კომისიას რა სახელი დაერქვას. რადგან დასაქმების საკითხი პროგრამის ხელმძღვანელების გარეშე ვერ გადაწყდება, შემოვიდა წინადადება, რომ კომისიის წევრებად სწორედ პროგრამის ხელმძღვანელები აირჩიონ.

პროფესორმა რ.ბოჭორიშვილმა აღნიშნა, რომ დასაქმების შესახებ დოქტორანტის განაცხადის მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მოხდეს, თუ დოქტორანტს გავლილი აქვს პროფესორის ასისტენტობა.

პროფესორმა ნ.შათაშვილმა წინადადება შემოიტანა, რომ დოქტორანტის კვალიფიციურობა შეფასდეს არა GPA-ით, რომლის მითითება გათვალისწინებულია განაცხადის შემოთავაზებული ფორმით, არამედ, მაგალითად, სამეცნიერო სტატიით, რადგან დოქტორანტის შემთხვევაში GPA არაა საკმარისი ინფორმაციის შემცველი.

ყველა დაეთანხმა, რომ განაცხადის ფორმაში ჩაემატოს სამეცნიერო სტატიის მითითების მოთხოვნა.

პროფესორმა რ.ბოჭორიშვილმა აღნიშნა, რომ მიზანშეწონილი იქნება შეიქმნას საფაკულტეტო კომისია და შემოსული განცხადებები განიხილოს კომისიის შესაბამისი კვალიფიკაციის წევრმა. შემდეგ, საბჭოს წევრებს მიმართა, რომ ამ საკითხის დამტკიცების შემთხვევაში დავაგზავნოთ ინფორმაცია დამატებითი სემესტრის დოქტორანტებთან, 2 კვირის ვადა მივცეთ და შემდეგ განვიხილოთ შემოსული განცხადებები.

საბჭოს წევრები ერთობლივი მსჯელობით მივიდნენ დასკვნამდე, რომ დროებით ეს საქმე დაევალოს სადისერტაციო საბჭოს კოლეგიას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, რომ შევიდეს ცვლილება დამატებითი სემესტრის დოქტორანტის განაცხადის ფორმაში, განაცხადი დაიწეროს სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის სახელზე და საბოლოო გადაწყვეტილება კოლეგიამ მიიღოს.

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე - 24, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

**დაადგინეს:** ა) დამატებითი სემესტრის დოქტორანტის დასაქმების შესახებ განაცხადის ფორმაში ჩაემატოს სამეცნიერო სტატიის მითითების მოთხოვნა (იხ. დანართი 4);
ბ) განაცხადი დაიწეროს სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის სახელზე და კოლეგიამ უზრუნველყოს განაცხადების განხილვა.

**ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,**
**პროფესორი რამაზ ბოჭორიშვილი**